ლადო პაპავა:
“რუსეთი საქართველოს “ლიბარალურ იმპერიაში” აქცევს”

გაზეთი “ახალი თაობა” – 15 მარტი, № 63, 2012.

რა სახიფათო პოლიტიკას ახორციელებს სააკაშვილი მოსვლის დღიდან და მოექცევა თუ არა საქართველოც რუსული “ლიბერალური იმპერიის” საზღვრებში? – ამ საკითხების ირგვლივ გავესაუბრეთ ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლადო პაპავას.

– ბატონო ლადო, რას ნიშნავს დღეს ოკუპანტი ქვეყნის – რუსული ინვესტიციების და ტურისტების დაპატიჟება პრეზიდენტ სააკაშვილის მხრიდან. აქამდე ხომ ეს სისხლიანი ფული იყო და ვინც რუსეთთან ურთოერთობის მომხრე იყო პრორუსულ პოლიტიკოსად შეირაცხა ვითომდა “პროდასავლელი” სააკაშვილის მიერ?

– ვინ თქვა, რომ სააკაშვილი არის პროდასავლელი პოლიტიკოსი?! მე ამის არასოდეს მჯეროდა. მხოლოდ განცხადებების დონეზეა ის პროდასავლელი, თორემ ქმედებებით, რაც მან გააკეთა, ყველაფერი არის პრორუსული. მთელი ელექტროენერგეტიკა პრაქტიკულად რუსული კაპილატის ხელთ არის. საბანკო სექტორში არის მსხვილი რუსული ბანკი. სპილენძის და ოქროს მოპოვება-გადამუშავება რუსების ხელშია. ტელეკომუნკაციურ ბაზარზე არის ძლიერი რუსული კომპანია და კიდევ ეპატიჟება რუსულ კაპიტალს შემოსვლაზე. ამ დროს რუსეთს აქვს “ლიბერალური იმპერიის” მშენებლობის გეგმა. რუსეთმა უკვე მოაქცია ამ “იმპერიაში” სომხეთი. ჯერი უკვე საქართველოზეა. „ვარდების რევოლოციის“ შემდეგ სააკაშვილმა კარი გაუხსნა რუსეთს თავიანთი ამ იმპერიული ზრახვების შესასრულებლად. ანტირუსული რიტორიკის ფონზე 28 თებერვალს სააკაშვილმა პარლამენტში თქვა, ის მზად არის რუსეთთან ურთიერთობისთვის, თუმცა ტერიტორიულ მთლიანობას არ დათმობს. სწორია, მაგრამ ამ თავის საპარლამენტო გამოსვლაში ერთი სიტყვა არ უთქვია ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ პრობლემებზე. პრაქტიკულად მან ეს მოხსენება ისე გააკეთა, რომ ერთ-ერთი უმწავავესი თემა, რომელიც არის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ამაზე პრაქტიკულად არაფერი უთქვამს.

– რითი ახსნიდით რუსეთთან ცალმხრივად სავიზო რეჟიმის გაუქმებას და რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ეფექტს მოიტანს ეს ქართულ სახელმწიფოს?

– სააკაშვილმა გამოასწორა ის შეცდომა, რომელიც დაუშვა მხოლოდ ჩრდილოკავკასიელებისათვის უვიზო რეჟიმის შემოღებით. მთლიანად რუსეთთან უვიზო რეჟიმის შემოღებით მან ეს შეცდომა გამოასწორა. დამატებითი განსაკუთრებული ეკონომიკური ეფექტის მომცემი კი ეს აქტი ნამდვილად არ იქნება.

– სააკაშვილმა ეს ინიციატივები ობამასთან შემდეგ გააჟღერა. სააკაშვილი დარწმუნდა, რომ დასავლეთის მხარდაჭერა დაკარგა და რუსეთს სთხოვს დახმარებას ძალაუფლების შენარჩუნებაში?

– სააკაშვილს ეს ნიუანსები არაფერში ანაღვლებს. თვითონ კითხვა იმის შესახებ, აპირებს თუ არა სააკაშვილი პრემიერ-მინისტრობას, ჩემთვის არ არსებობს. არც არასდროს ყოფილა საინტერესო. იმიტომ, რომ სააკაშვილს პრემიერ-მინისტრობის გარდა სხვა გზა არ აქვს; მან სხვა არჩევანი არ დაიტოვა და ამის შესახებ ჩვენ წინა ინტერვიუების დროს ვისაუბრეთ. ასე რომ, ის რომ სააკაშვილმა კონსტიტუცია შეცვალა, პრემიერ-მინისტრი რომ უნდა იყოს ქვეყნის ლიდერი, რომ პარლამენტი ქუთაისში გადააქვს, რათა თბილისის საპროტესტო აქციები თავიდან აიცილოს – ეს ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სააკაშვილი პრემიერ-მინისტრი იყოს. უბრალოდ, დღეს მან რომ თქვას, მე ვაპირებ პრემიერ-მინისტრობას, ამით დასავლეთს დაიპირისპირებს, ხოლო რომ თქვას, პრემიერობას არ ვაპირებო, ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია, დაეშლება.

– რუსეთან ურთიერთობებს მოაგვარებს სააკაშვილი? მან რუსეთის უშიშროების სამსახურის მაღალჩინოსანი და დედის ძმა – თემურ ალასანია ჩამოიყვანა საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩევლად საქართველოში. თუმცა ყველას გვახსოვს პუტინის მუქარა სააკაშვილის მიმართა.

– ეს გამორიცხულია. იმიტომ, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტა დღეს ამისთვის მზად არ არის. ჩვენ ყველა კარგად ვხედავთ, რომ რუსეთის პრეზიდენტი ისევ პუტინია. რაც არ უნდა მოხდეს რუსეთში, პრაქტიკულად არანაირი შანსი ქართულ-რუსული ურთიერთობების გამოსწორების ნამდვილად არ არის. იმიტომ, რომ პუტინი აუცილებლად გააგრძელებს იმ პოლიტიკას, რომელიც მან ბოლო პერიოდში ჩამოაყალიბა საქართველოს ლიდერთან მიმართებაში. თქვა, რომ ის სააკაშვილს არ დაელაპარაკება. ეს ძალიან

კომფორტულია კრემლისთვის. ამ ფონზე აკეთებს იმას, რაც უნდა აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში.

– ხომ შეიძლება იგივე პუტინს სხვა ინტერესები და ამბიციები გაუჩნდეს?

– სააკაშვილის პირობებში ამის შეტრიალება პრინციპულად შეუძლებელია.

– ფაქტია, სააკაშვილმა ბოლომდე გაუხსნა რუსულ კაპიტალს საქართველოში გზა. ეს არ იქნება პოლიტიკური სუნის მქონე კაპიტალი?

– პოლიტიკურ სუნი, ეს რბილად ნათქვამია. უფრო სერიოზული არის ის, რომ მოსკოვი ატარებს პოლიტიკას შექმნას "ლიბერალური იმპერია", ანუ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური ბერკეტები კრემლს ჰქონდეს სამართავად. ფაქტობრივად, უკვე რამდენიმე წელია ჩვენს მეზობელ სომხებს თავის ეკონომიკა არ გააჩნიათ. მაგრამ სომხეთის სრული ინტეგრაცია რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში ვერ ხერხდება იმიტომ, რომ მათ საერთო საზღვარი არ აქვთ. საქართველო არის სწორედ ჯერ კიდევ ბუფერული ზონა, რომელიც შეიძლება რუსეთმა მოაქციოს თავის ეკონომიკური ზეგავლენის ქვეშ და მერე მოხდება სრული გაერთიანება რუსეთის ეკონომიკასთან საქართველო-სომხეთის ეკონომიკის. აზერბაიჯანს იმის გათვალისწინებით, რომ სატრანზიტო გზები საქართველოზე გადის, აქ მას დიდი არჩევანი არ ექნება. ეს არის რუსული გეგმა. პრაქტიკულად სააკაშვილი ამას ხელს უწყობს 2004 წლიდან დაწყებული.

– მოდით შევაფასოთ პრეზიდენტის გამონათქვამები. იზიარებთ სააკაშვილის განხცხადებას, რომ მას ჰყავს ღარიბი და გაღლეტილი მინისტრები?

– ეს არის შეურაცხმყოფელი. უზრდელობა არის დამახასიათებელი "ვარდისფერი" რეჟიმისათვის.

– პრეზიდენტისთვისაც არის უზრდელობა დამახასიათებელი?

– არა მარტო პრეზიდენტისთვის. მოდის სააკაშვილისაგან და მერე ყველა ეჯიბრება უზრდელობაში. გაიხსენეთ კახა ბენდუქიძე, თავისი ცნობილი გინებით, შეურაცხყოფის მიყენების ხშირი მცდელობით. დღეს ყველა დონეზე ეს სახელისუფლებო ელიტის სტილია. ასე ითვლება, თუ გინდა "ვარდისფერი" რეჟიმის პირობებში პოლიტიკური კარიერა გაიკეთო, უნდა იყო უზრდელი, შეურაცხყოფის მიმყენებელი. "მერაბიშვილი რომ გაღლეტილია", როგორც პრეზიდენტმა თქვა. თვითონ ეს სიტყვათა წყობა ხომ არის შეურაცხმყოფელი?! როგორი ღარიბიც არ უნდა იყოს ადამიანი, ეს სიტყვები ნებისმიერისთვის შეურაცხმყოფელია. ასე, რომ სააკაშვილისათვის მერაბისვილიც კი არაფერს არ

წარმოადგენს, ისე ადვილად საჯაროდ, მთელი საქართველოს გასაგონად მიაყენა მას შეურაცხყოფა. თუ ის ასე მოექცა მერაბიშვილს, რა თქმა უნდა, ოპოზიციას კიდევ უფრო უხეშად ექცევა. უზრდელობის ნიმუში იყო, როგორ მოექცა სააკაშვილი ცაგარეიშვილს და ჯონდი ბაღათურიას, როცა ცაგარეიშვილმა სურათები მიუტანა. თავის დროზე ხომ სააკაშვილმა მიუტანა შევარდნაძეს სურათები, რა, შევარდნაძემაც მოისროლა და გადაყარა?! როცა ქვეყნის პირველი პირი ხარ, ზრდილობა უნდა გეყოს და გქონდეს მოთმინება, რომ ეს ნაბიჯი შესაბამისად აღიქვა და თუ არ ეთანხმები, სათანადო პასუხი გასცე. მაგრამ იმით, რომ სააკაშვილმა სურათები მოისროლა და იმით, რაც თქვა, თავის სისუსტე აჩვენა. ხოლო ჯონდი ბაღათურიას უშულოდ მიაყენა შეურაცხყოფა ტალახში გორაობასთან და დაზელვასთან დაკავშირებით. მაგრამ ამით სააკაშვილმა მარტო ბაღათურიას კი არ მიაყენა შეურაცხყოფა, მიაყენა მთელ ქართველ ერს, რომელიც ამ დროს ტელევიზორთან იჯდა.

– რამ გააღიზინა პრეზიდენტი, ელჩების თანდასწრებით თქმულმა მწარე სიმართლემ?

– ქართული ანდაზაა, "ქურდს ქუდი ეწვისო". რაც ბაღათურიამ თქვა, არ ვიცი, მართლაც ასეა თუ არა. მაგრამ თუ ეს ტყუილია და თუ პრეზიდენტი თვლის, რომ დაუმსახურებლად დაადანაშაულეს, მას უნდა ეთქვა, რომ ეს არის ტყუილი და მეტი არაფერი. მაგრამ, რა გააკეთა მან? თავი ვერ შეიკავა და სხდომა მიატოვა. ეტყობა, ცოტა უფრო ჭკვიანმა მრჩეველმა უთხრა, ასე არ გამოვა, ელჩები არიან, ტელევიზიები პირდაპირ ეთერში გადასცემენ სესიას და უკან შემოაბრუნეს. მერე სააკაშვილმა სპექტაკლი გაათამაშა, ვითომ მამამისს დაურეკა, ტალახი მოამზადეო. არ შეიძლება ქართული პოლიტიკური კულტურა უზრდელობას ეფუძნებოდეს. ამას როცა ვიძახი, რა თქმა უნდა, მათი გადასახედიდან შეიძლება "მუმია" ვიყო. მაგრამ, მე მირჩევნია ვიყო "ზრდილობიანი მუმია", ვიდრე "უზრდელი ნაციონალი".

შემდგომი ტექსტი გაზეთმა არ დაბეჭდა

– ბატონო ლადო, საზოგადოებამ იცის, რა ქონების პატრონები არიან მინისტრები. რაში დასჭირდა პრეზიდენტს ტყუილის თქმა, ამას ხომ არავინ დაიჯერებს, ისევე როგორც იმას, რომ სააკაშვილის მთავრობა არაკორუმპირებულია?

– რა თქმა უნდა, დღეს უკვე ყველასთვის აშკარაა, რომ ქვეყანაში არის ელიტური კორუფცია. ის, თუ როგორ ხდება პრივატიზაცია, როგორ იმარჯვებენ ერთი კვირით ადრე დაფუძნებული ფირმები, რომლის უკან ისევ თვითონ დგანან ეს ყვალასათვის კარგადაა ცნობილი. სხვა თუ არაფერი, უმრავლესობის წევრმა, დეპუტატმა არჩილ გეგენავამ 44 ფირმა რომ შექმნა და მისი ფირმები რომ აჭმევდნენ მთელ ჯარს, ციხეებს, პოლიციას, სკოლებს და საბავშვო ბაღებს, ეს ხომ ვიცით. მერე რაღაცაში ვერ მორიგდნენ და გეგენავას ეს ბიზნესი წაართვეს. გეგენავა ვინ არის? ნაციონალების სახე და პარლამენტის წევრი. მანცდამაინც გვარებით ვილაპარაკოთ? ბევრია ასეთი. ვინ იგებს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერებს, როგორ იმარჯვებს ესა თუ ის კონკრეტული კონკრეტული ფირმა? ნეპოტიზმი არის გავრცელებული ფორმა საქართველოს მთავრობაში. სამწუხაროდ, ელიტური კორუფცია სახეზეა. მოსახლეობას გამოკითხვების დროს ხშირად კითხვას სწორედ არ უსვამენ. მოსახლეობას ჰგონია, რომ სიტყვა კორუფციის ქვეშ მხოლოდ და მხოლოდ მექრთამეობა იგულისხმება. ის, რომ დღეს მოქალაქეს შეუძლია ქრთამის გარეშე აიღოს პასპორტი, რომ პოლიციელმა არ გამოსძალოს მას ფული, როცა ის ტრასაზე არის, ეს რა თქმა უნდა, დიდი მიღწევაა. მაგრამ მარტო ეს არ არის კორუფციის არქონის ნიშანი. სამწუხაროდ, კორუფცია გვაქვს ჩვენ სხვა ფორმებით. ყველაზე მწვავე ფორმა დღევანდელ საქართველოში კი ნეპოტიზმია.

– ბატონო ლადო, პრეზიდენტის დამოკიდებულებაზე რას იტყვით ოპოზიციის მიმართ? სააკაშვილის თქმით, ოპოზიციას საქართველოს მოსახლეობის ჭაობში დაბრუნება უნდა. პრეზიდენტის თქმით, ოპოზიცია წაგებულის პოზიციიდნ საუბრობს. ასეა?

– პრეზიდენტმა მიანიშნა, რომ ჩვენი გუნდის შემცვლელი იქნება მომავალი თაობა. შემდეგი თაობა ნიშნავს 20-25 წლით მათ ხელისუფლებაში ყოფნას. წინა გამოსვლებში სააკაშვილი ამბობდა, ჩვენ მოსული ვართ 70 წლით, მერე თქვა – 50 წლითო. ახლა ცოტა შეამცირა ვადები და უკვე მხოლოდ თაობაზე ილაპარაკა. იქნებიან თუ არა ნაციონალები მართლაც 20-25 წელი ხელისუფლებაში, ეს ქართველ ამომრჩეველზეა დამოკიდებული.

– ამით პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს მისი გუნდი მოიგებს?

– ის ვალდებულია, რომ ასე ილაპარაკოს. იმიტომ, რომ სააკაშვილს სხვა გზა არ დარჩენია. თუ საპარლამენტო არჩევნებს არ მოიგებს, ვერ შეძლებს იყოს

იმ თანამდებობაზე, რომლის დაკავებაც სურს. ამის ერთადერთი გზა არის არჩევნების გაყალბება და პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა.

შორენა კოწოწაშვილი